# თელავის ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# სილაბუსი
# 2011-2012 სასწ.წელი

**ფაკულტეტი:** პედაგოგიური

**კათედრა:** პედაგოგიკა-მეთოდიკებისა და ფსიქოლოგიის გაერთიანებული

**სასწავლო კურსის დასახელება:** სკოლათმცოდნეობა

**სასწავლო კურსის კოდი:** P. O1. p. 10

**კრედიტების რაოდენობა ECTS** 5 კრედიტი

**სასწავლო კურსი სტატუსი:** სავალდებულო მაგისტრატურის სტუდენტებისათვის

**ლექტორი:** 1. ასოც. პროფ: მოდებაძე ნინო, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი
ტელ: 855 452794 e-mail: ninomodebadze@ rambler.ru
სტუდენტებთან შეხვედრების განრიგი: სამშაბათი, პარასკევი 14-16 სთ

**სასწავლო კურსის აღწერა:** სასწავლო კურსი ერთსემესტრიანია და სტუდენტის მიერ მოსაპოვებელი კრედიტისათვის დახარჯული დრო ასე ნაწილდება: სულ 125 სთ. აქედან:
45 საკონტაქტო საათია, რაც ნიშნავს ლექტორთან კვირაში 3 საკონტაქტო საათს. თავის მხრივ 30 სთ სალექციოა, 15სთ – სასემინარო, რომლის ფარგლებშიც სემინარული საკითხების განხილვასთან ერთად ჩატარდება 3 – შუალედური წერა, აგრეთვე სტუდენტთა განრიგის მიხედვით დანიშნული ზეპირი პრეზენტაციები. დარჩენილი 80 სთ ბაკალავრის დამოუკიდებელი მუშაობის წილია.
სასწავლო კურსში განიხილება სასკოლო განათლებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: საქართველოს სასკოლო განათლების სისტემა, განათლების სისტემის მართვის ორგანოები, სკოლის მართვისა და ხელმძღვანელობის ორგანოები, სასკოლო დოკუმენტაცია და სხვა.
აქედან გამომდინარე,

**სასწავლო კურსის მიზანი და ამოცანებია:** სტუდენტი გაეცნოს:

- საქართველოს სასკოლო განათლების სისტემას;
- სკოლის მართვისა და ხელმძღვანელობის ზოგად პრინციპებს;
- სკოლის პედაგოგიური საქმიანობის ორგანიზაციას;
- შიდასასკოლო კონტროლის მექანიზმებს;
- სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებას.

**სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა:** არა აქვს

სალექციო კურსის შედეგი :

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | მაგისტრანტი ფლობს ღრმა ცოდნას სკოლათმცოდნეობის შესახებ | აქვს ღრმა ცოდნა საქართველოს სასკოლო განათლებისა შესახებ; იცის სკოლის მუშაკების როლი და ფუნქ-ციები; იცნობს სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და მოთხოვნებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საკლასო ოთახების, სასწავლო კაბი-ნეტების და სხვა სადგომების ინვენ-ტარისადმი. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | განუვითარდებათ ანალიზის და სინთეზის უნარი, შემოქმედებითი ძიების უნარი, მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი | შეუძლია ეფექტურად განახორციელოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია და შიდასას-კოლო კონტროლი; შეუძლია სასკო-ლო დოკუმენტაციის ეფექტურად წარმოება. |
| კომუნიკაციის უნარი | ექნებათ ეფექტური კომუნიკაციის უნარი | შეუძლიათ კოლეგებთან პროფესიული ზეპირი და წერილობითი კომუნი-კაცია; წარმატებულად მუშაობენ ჯგუფებში, როგორც ლიდერი, ასევე წევრი. შეეძლებათ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, ინტერნეტში საჭირო მასალების მოძიება და დამუშავება, პრეზენ-ტაციის მომზადება და წარმოდგენა. |
| სწავლის უნარი | შეუძლია ამ სფეროში საკუთარი საქმიანობის შეფასება, ანალიზი და გაუმჯობესება | შეუძლია სკოლათმცოდნეობის სფეროში სამეცნიერო სიახლეებისა და ახალი მეთოდოლოგიის მოძიება, შესწევს ამ სფეროს უწყვეტი განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების უნარი |

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები:** ლექცია, ჯგუფში მუშაობა, ზეპირი გამოკითხვები, კოლოქვიუმები და პრეზენტაცია

**სავალდებულო ლიტერატურა:**

1) არახამია, მ. (2006). *სკოლათმცოდნეობა*. ქუთაისი: ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**დამატებითი ლიტერატურა:**

1) (1994).*პედაგოგიკა*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

**სტუდენტთა შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:**

შეფასების 100% – იანი სისტემის პარამეტრებია:
<u>შუალედური შეფასება</u> – მაქსიმალური 60%
მათ შორის:

*2 წერითი სამუშაო* – 30% (15% x 2).
პირველი წერა ჩატარდება სემესტრის I ნახევარში, მეორე – სემესტრის ბოლოს. წერის თარიღსა და თემატიკაზე სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი. წერის ხანგრძლივობა 50 წთ.

*4 ჯგუფური მეცადინეობა* – 20% (5% x 4).
ეს 20% უნდა დაგროვდეს მთელი სემესტრის განმავლობაში სემინარებზე მონაწილეობით.

*1 ზეპირი პრეზენტაცია* – 10%,
რომელზედაც სტუდენტს საშუალება ეძლევა

ზეპირსიტყვიერად წარმოაჩინოს თავისი პროფესიული ცოდნა და უნარები ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას. პრეზენტაციის წარმოდგენა სავალდებულოა თვითოეული სტუდენტისათვის. ჩატარების განრიგი თემატიკის გათვალისწინებით და სტუდენტთან შეთანხმებით გაწერილ იქნება სემესტრის დასაწყისში დაახლოვებით მეორე, მესამე ლექციის შემდეგ. რეზენტაციის შეფასება მოხდება ცხრილში მოცემული შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

| პრეზენტაციის შეფასების პარამეტრები | მაქსიმალური ქულა |
|---|---|
| შინაარსის ლოგიკურობა | 3 ქულა |
| თემის გასაგებად წარმოდგება | 3 ქულა |
| თემის სრულად წარმოდგენა | 2 ქულა |
| ვიზუალური საშუალებების გამოყენება | 2 ქულა |
| სულ: | 10 ქულა |

- შეგახსენებთ, რომ ფინალურ გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომელმაც შუალედურ შეფასებაზე მოაგროვა მინიმუმ 11 ქულა და ამით ფინალური გამოცდისათვის დაწესებულ ქულათა მაქსისუმის მიღების შემთხვევაში მიეცა შანსი დააგროვოს კრედიტის მინიჭებისათვის აუცილებელი მინიმალური 51 ქულა, ე.ი. (11ქ + 40ქ =51ქ).
- <u>**შემაჯამებელი წერითი გამოცდა**</u> – გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით, რომლის ხანგრძლივობა 2 აკადემიური საათია.
- იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა სემესტრის მანძილზე შუალედური შეფასებებით დააგროვა კრედიტის მინიჭებისათვის საჭირო ქულათა რაოდენობის მინიმუმი (51 ქულა), იგი თავისუფლდება ფინალურ გამოცდაზე გასვლის ვალდებულებისაგან, თუმცა სტუდენტს შეუძლია გავიდეს საბოლოო გამოცდაზე და შუალედურ შეფასებას დაამატოს გამოცდის ქულა.

## სასწავლო კურსის სტრუქტურა:

### ლექცია №1

სკოლათმცოდნეობის საგანი და ამოცანები.
ლიტერატურა: 1. გვ: 5–10

## ლექცია №2

**სკოლის მართვა და ხელმძღვანელობა.**
საქართველოს სასკოლო განათლების სისტემა
განათლების სისტემის მართვის ორგანოები
სკოლის მართვისა და ხელმძღვანელობის ორგანოები
ლიტერატურა: 1. გვ: 10-36

## ლექცია №3

**სკოლის მართვა და ხელმძღვანელობა.**
სკოლის მართვისა და ხელმძღვანელობის ზოგადი პრინციპები.
სკოლის პედაგოგიური საქმიანობის ორგანიზაცია
მეთოდური მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში
ლიტერატურა: 1. გვ: 36-70

## ლექცია №4

**სკოლის მართვა და ხელმძღვანელობა.**
სკოლისა და მასწავლებლის მოწინავე გამოცდილების შესწავლა- განზოგადოება
საინოვაციო მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში
ლიტერატურა: 1. გვ: 70-90

## ლექცია №5

**სკოლის მუშაკების როლი და ფუნქციები**
სკოლის დირექტორი
სკოლის დირექტორის მოადგილე
მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი
ლიტერატურა: 1. გვ: 90-110

## ლექცია №6

**სკოლის მუშაკების როლი და ფუნქციები**
სკოლის დირექტორის თანაშემწე სამეურნეო დარგში
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კლასის ხელმძღვანელი (დამრიგებელი)
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელი
ლიტერატურა: 1. გვ: 110-130

## ლექცია №7

**სკოლის მუშაკების როლი და ფუნქციები**
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ექიმის მუშაობის შინაარსი, ორგანიზაცია და ფორმები
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფსიქოლოგის უფლება-მოვალეობანი
ლიტერატურა: 1. გვ: 130-138

## ლექცია №8

**სკოლის მუშაკების როლი და ფუნქციები**
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ბიბლიოთეკარის მუშაობის შინაარსი და ორგანიზაცია
ფუნქციათა განაწილება სკოლის ხელმძღვანელ მუშაკებს შორის
ლიტერატურა: 1. გვ: 138-148

## ლექცია 9

**სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია**
მოსწავლეთა მიღება სკოლაში და კლასების დაკომპლექტება
სასწავლო მეცადინეობის სტაბილური ცხრილი
სასკოლო რეჟიმი
ლიტერატურა: 1. გვ. 148-161

## ლექცია №10

**სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია**
ექსტერნატი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში
საშინაო დავალებით მოსწავლეთა გადატვირთვის გადალახვის ღონისძიებამი
არასასწავლო მუშაობაში მოსწავლეთა მონაწილეობის რეგლამენტაცია
ლიტერატურა: 1. გვ: 161-173

## ლექცია №11

**სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია**
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა დღის რეჟიმი
სკოლისა და ოჯახის ერთობლივი მუშაობა
ლიტერატურა: 1. გვ 173-182

## ლექცია №12

**სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია**
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შრომის შინაგანაწესი
ბავშვთა უფლებების დაცვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში
ლიტერატურა: 1. გვ 182-194

## ლექცია №13

**სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია**
ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში
სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობისადმი ხელმძღვანელობის ზოგიერთი თავისებურება I-IV, V-IX და X-XII კლასებში
ლიტერატურა: 1. გვ 194-200

## ლექცია №14

**სასკოლო მუშაობის გეგმიანობა და ხემძღვანელობა**
გეგმიანობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობაში
სკოლის წლიური სამუშაო გეგმა
კლასში ჩასატარებელი აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვა-აღრიცხვა
ლიტერატურა: 1. გვ. 200-225

## ლექცია №15

**შიდასასკოლო კონტროლი**
შიდასასკოლო კონტროლის ამოცანები და მნიშვნელობა
შიდასასკოლო კონტროლის შინაარსი და მეთოდები
ლიტერატურა: 1. გვ. 225-236

## ლექცია №16

**შიდასასკოლო კონტროლი**
მასწავლებელთა მიერ ჩატარებული გაკვეთილების შემოწმებისა და განხილვის წესები
საწრეო მოშაობის, დამატებითი მეცადინეობებისა და საკონტროლო წერითი ნამუშევრების შემოწმება
ლიტერატურა: 1. გვ. 236-244

## ლექცია №17

**შიდასასკოლო კონტროლი**
საკლასო ჟურნალები, მოსწავლეთა დღიურებისა და პირადი საქმეების შემოწმება
სასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები
ლიტერატურა: 1. გვ. 244-255

## ლექცია №18

**სასკოლო ინტერნატი**
სასკოლო ინტერნატის მუშაობის შინაარსი
სკოლა-ინტერნატის ორგანიზაცია
ლიტერატურა: 1. გვ. 225-261

## ლექცია №19

**სასკოლო ინტერნატი**
სკოლა-ინტერნატის ბავშვთა კოლექტივის ორგანიზაცია და მისადმი დახმარება დირექტორისა და პედაგოგთა მხრიდან
სკოლა-ინტერნატში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი
ხელმძღვანელობის სპეციფიკური საკითხები
ლიტერატურა: 1. გვ. 261-268

## ლექცია №20

**სასკოლო სახელმძ.ღვანელოები, სასწავლო ნივთები და სასკოლო საწერი მოწყობილობა**
სახელმძღვანელო, როგორც სწავლების საშუალება
სკოლის სასწავლო მოწყობილობა და საწერი ნივთები
ლიტერატურა: 1. გვ. 268-276

## ლექცია №21

**სკოლის მიწის ნაკვეთი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**
მოთხოვნები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მიწის ნაკვეთისადმი
სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მოთხოვნები სასკოლო შენობისადმი
ლიტერატურა: 1. გვ. 276-279

## ლექცია №22

**სკოლის მიწის ნაკვეთი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**
მოთხოვნები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საკლასო ოთახების, სასწავლო კაბინეტების და სხვა სადგომების ინვენტარისადმი
დაწყებითი კლასების სასწავლო კაბინეტების მოწყობა
ლიტერატურა: 1. გვ. 279-297

## ლექცია №23

**სასკოლო მოწყობილობა და კაბინეტური სისტემა**
სასკოლო სასწავლო მოწყობილობა
მეცადინეობის კაბინეტური სისტემის ორგანიზაცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში
ლიტერატურა: 1. გვ 297-313

## ლექცია №24

**სასკოლო ბიუჯეტი და ხარჯთაღრიცხვა**
სასკოლო ბიუჯეტისა და ხარჯთაღრიცხვა შინაარსი და შედგენის მეთოდიკა
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიურ მუშაკთა ტარიფიკაცია
ლიტერატურა: 1. გვ. 313-330

## ლექცია №25

**სასკოლო დოკუმენტაცია**
ზოგადი დებულებანი
სასწავლო-პედაგოგიური დოკუმენტაცია
ლიტერატურა: 1. გვ. 330-339

## ლექცია №26

**სასკოლო დოკუმენტაცია**
საფინანსო-სამეურნეო დოკუმენტაცია
სკოლის საქმის წარმოება

ლიტერატურა: 1. გვ. 339-358

## ლექცია №27

**სკოლის მხატრული გაფორმება**
სკოლის მხატრული გაფორმების ძირითადი პრინციპები
ფერი სასკოლო შენობაში
ლიტერატურა: 1. გვ. 358-368

## ლექცია №28

**სკოლის მხატრული გაფორმება**
სასკოლო შენობის მხატვრული გაფორმების შესაძლო ტიპიური ვარიანტი
პრაქტიკული რჩევები სკოლის სკოლის მხატვრული გაფორმებისათვის
ლიტერატურა: 1. გვ. 368-389

## ლექცია №29

**სკოლის ანგარიშგება**
სასკოლო სტატისტიკური ანგარიშგება
სკოლის წლიური საანგარიშო მოხსენება
სტატისტიკური მასალების ანალიზის მეთოდიკა
ლიტერატურა: 1. გვ. 389-399

## ლექცია №30

**სკოლის გარეშე საბავშო დაწესებულებები**
ლიტერატურა: 1. გვ. 399-405

**წარმატებას გისურვებთ!**